საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტო

საინფორმაციო ფურცელი

მსოფლიოში კონკურენციის უწყებებისა და ევროკავშირის სასამართლოების მიერ განხორციელებული აქტივობები

აგვისტო, 2026

01

პოლონეთის კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის კომისია

აგროტექნიკის კარტელს თითქმის 136 მილიონი ზლოტის ჯარიმა დაეკისრა



თერთმეტწლიანმა კარტელმა (2012-2023) პოლონელი ფერმერები აიძულა, ტრაქტორების, კომბაინებისა და სათადარიგო ნაწილების შესაძენად საბაზრო ღირებულებაზე მეტი გადაეხადათ. UOKiK-ის პრეზიდენტმა დაადგინა, რომ AGCO (Valtra, Fendt და Massey Ferguson ბრენდების საბითუმო დისტრიბუტორი) და მისი რვა დილერი ერთმანეთში ბაზარს ინაწილებდნენ და ფასების შესახებ ინფორმაციას უზიარებდნენ.

დილერები შეთანხმებულნი იყვნენ, რომ თითოეული მხოლოდ საკუთარ რეგიონში მომუშავე მომხმარებელს მოემსახურებოდა, სხვა ტერიტორიიდან შემოსულ

მომხმარებელს ან საერთოდ არ სთავაზობდნენ შეთავაზებას, ან განზრახ მაღალ ფასს ასახელებდნენ, რომ ადგილობრივ დილერთან შედარებით არაკონკურენტული ყოფილიყო. ჩხრეკისას ამოღებული მიმოწერა ამას პირდაპირ ადასტურებს. როცა რომელიმე დილერი შეთანხმებას არღვევდა, კონკურენტები AGCO-ს აწვდიდნენ ინფორმაციას, რომელიც წერილობითი გაფრთხილებით ან ფასდაკლების გაუქმებით რეაგირებდა და დავების დროს არბიტრის როლსაც ასრულებდა.

UOKiK-ის პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ ფერმერები წლების განმავლობაში კონკრეტულ დილერზე იყვნენ „მიბმულნი" და სამართლიანი კონკურენციის პირობებში სასურველი ტექნიკის შეძენის შესაძლებლობა არ ჰქონდათ.

ჯამურმა ჯარიმამ 135,835,906.25 ზლოტი შეადგინა.

წყარო:

02



პოლონეთის კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის კომისია

კომისიამ FURGONETKA -ს წინააღმდეგ მოკვლევა დაიწყო

Furgonetka-ს მომსახურებით სარგებლობისას მომხმარებელს ჩაბარების შემდეგ შესაძლოა დაერიცხოს დამატებითი, გაურკვეველ საფუძველზე დაწესებული გადასახადი.



Furgonetka-ს მომხმარებელი ხელშეკრულებას დებს არა კურიერულ კომპანიასთან, არამედ თავად პლატფორმასთან, რომელიც ტრანსპორტირებას შერჩეულ ოპერატორს საკუთარი სახელით ავალებს. პრობლემა წარმოიქმნება მას შემდეგ, რაც ამანათი უკვე ჩაბარებულია: გადამზიდველი ადგენს, რომ ამანათის ზომები ან წონა განსხვავებული იყო, და Furgonetka ცალმხრივად ითხოვს დამატებით გადასახადს - მომხმარებლისთვის დამადასტურებელი დოკუმენტაციის (ანგარიშის,

ფოტომასალის) მიწოდების ან ხელშეკრულებიდან გასვლის შესაძლებლობის მიცემის გარეშე.

UOKiK-ის განცხადებით, პასუხისმგებლობა ამანათთან ერთად არ უნდა იკარგებოდეს, მომხმარებელმა უნდა იცოდეს, რისთვის იხდის, დამატებითი გადასახადი მისი თანხმობით უნდა დაწესდეს, ხოლო მას არ უნდა მოუწიოს იმ გადამზიდველთან პირდაპირ ურთიერთობა, რომელთანაც ხელშეკრულებითი კავშირი არ აქვს.

უწყებამ მიიღო არაერთი საჩივარი დაუსაბუთებელ გადასახადებზე, მათ შორის შემთხვევა, როცა მომხმარებელს ჩაბარებიდან ორ კვირაში დამატებით 400-ზე მეტი ზლოტი დაერიცხა უცვლელი წონა-ზომების მქონე ამანათზე. წინა ჩარევის მიუხედავად (ფოტოს ატვირთვის ფუნქცია, გამჭვირვალობის გაუმჯობესება), მსგავსი საჩივრები არ შეწყვეტილა.

პრეტენზიის პროცედურაც სადავოა: Furgonetka საჩივარს გადამზიდველს გადაუგზავნის და თავად პასუხისმგებლობას იხსნის, ხოლო მომხმარებელი ვალდებულია სადავო თანხა დაუყოვნებლივ გადაიხადოს, პრეტენზიის შედეგის მიუხედავად.

წყარო:

01

იტალიის კონკურენციის უწყება

იტალიის კონკურენციის უწყებამ ელექტროველოსიპედით და ელექტროსკუტერებით მომსახურების ოპერატორებს ჯამში 2.7 მილიონი ევროს ჯარიმა დააკისრა



Bird-მა, Dott-მა და Lime-მა ხელი შეუშალა რომის ადგილობრივი საზოგადოებრივი ტრანსპორტის აბონენტებს, ესარგებლათ მათთვის განკუთვნილი უფასო მგზავრობის პაკეტებით.

იტალიის კონკურენციის უწყებამ დაასრულა 2025 წლის ნოემბერში დაწყებული მოკვლევა

სამი ოპერატორის მიმართ, რომლებსაც 2023-2026 წლების პერიოდში რომის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მომსახურების გაწევის უფლება ჰქონდათ მინიჭებული. Bird-ს, Dott-სა და Lime-ს ჯამში თითქმის 2.7 მილიონი ევროს ჯარიმა დაეკისრა Metrebus ბარათის (რომის ადგილობრივი საზოგადოებრივი ტრანსპორტის წლიური აბონემენტის) მფლობელებისთვის უფასო მგზავრობის პაკეტებით (ე.წ. Passes) სარგებლობის შეზღუდვის გამო, რომელთა მიწოდებაც ოპერატორებმა თავად აიღეს ვალდებულებად ტენდერში მონაწილეობისას.

უწყებამ დაადგინა, რომ სამივე კომპანიამ მომხმარებელთა მოთხოვნების დასამუშავებლად არაადეკვატური მექანიზმები გამოიყენა, რამაც გააძნელა აქტივაციის პროცესი, გამოიწვია პაკეტების გაცემის მნიშვნელოვანი დაგვიანება და შეამცირა ის პერიოდი, რომლის განმავლობაშიც მომხმარებლებს მათით სარგებლობა შეეძლოთ. Bird-ის შემთხვევაში დამატებით დადგინდა არაკეთილსინდისიერი კომერციული პრაქტიკაც მომხმარებელთა ანგარიშების თვითნებური დეაქტივაცია, ისე რომ არც წინასწარი განმარტება მიწოდებულა და არც მოსაზრების გამოთქმის შესაძლებლობა მიცემიათ.

წყარო:

01



ჩეხეთის კონკურენციის დაცვის ოფისი

კარტელური შეთანხმებისთვის ჯარიმა 280 მილიონ ჩეხურ კრონზე მეტი

კომპანიებმა SHERLOG Technology, a.s. და O2 Czech Republic, a.s. კარტელური შეთანხმება დადეს სატრანსპორტო საშუალებების მონიტორინგისა და ელექტრონული სამარშრუტო ჟურნალების სფეროში. კონკურენციის საწინააღმდეგო ქმედებისთვის კონკურენციის დაცვის უწყებამ პირველი ინსტანციის გადაწყვეტილებით SHERLOG-ს 18,357,000 ჩეხური კრონის, ხოლო O2-ს 262,320,000 ჩეხური კრონის ჯარიმა დააკისრა; გარდა ამისა, SHERLOG-ს ექვსი თვის ვადით აეკრძალა საჯარო შესყიდვების შესრულება. გადაწყვეტილება საბოლოო არ არის და ექვემდებარება გასაჩივრებას უწყების თავმჯდომარესთან.

უწყების დასკვნით, SHERLOG-მა და O2-მა დაარღვიეს კონკურენციის დაცვის შესახებ კანონი და ევროკავშირის კონკურენციის წესები, ვინაიდან 2012 წლის 7 დეკემბრიდან 2022 წლის 9 ივნისამდე, სულ მცირე, ერთმანეთს შორის ინფორმაციის გაცვლისა და

კომუნიკაციის გზით ინაწილებდნენ მომხმარებლებს და კოორდინაციას უწევდნენ სატრანსპორტო საშუალებების მონიტორინგისა და ელექტრონული სამარშრუტო ჟურნალების მომსახურების შეთავაზება-რეალიზაციას, მათ შორის საჯარო შესყიდვების ტენდერების ფარგლებში.

უწყებამ საქმის მოკვლევა 2022 წელს დაიწყო და ორივე კომპანიაში ადგილზე შემოწმებაც ჩაატარა. ადმინისტრაციული წარმოებისას დადგინდა, რომ კომპანიებს ხანგრძლივი თანამშრომლობა ჰქონდათ O2 Car Control მომსახურების მიწოდებაში — ერთობლივ პროდუქტზე ბიზნეს თანამშრომლობა თავისთავად სანქციას არ ექვემდებარებოდა, თუმცა 2012 წლის დეკემბერში დადებული სახელშეკრულებო შეთანხმებები ჩვეულებრივი ბიზნეს თანამშრომლობის ფარგლებს სცილდებოდა: მათი თანახმად, SHERLOG მნიშვნელოვნად შეზღუდული იყო საკუთარი, O2 Car Control-ის კონკურენტული პროდუქტის, SHERLOG Trace-ის შეთავაზებაში მრავალ შემთხვევაში მას ეს არ შეეძლო O2-ისგან წინასწარი კომუნიკაციისა და თანხმობის გარეშე. ამგვარად ჩამოყალიბდა მექანიზმი, რომლის საფუძველზეც ორივე კონკურენტი ინაწილებდა მომხმარებლებს და კოორდინაციას უწევდა საკუთარ საქმიან საქმიანობას, განსაზღვრავდა, რომელ მომხმარებელს შემოთავაზდებოდა O2 Car Control და როდის იქნებოდა შესაძლებელი SHERLOG Trace-ის შეთავაზება. უწყებამ ეს შეთანხმება მომხმარებელთა გაყოფის შესახებ აკრძალულ შეთანხმებად დააკვალიფიცირა.

წარმოებისას ისიც დადგინდა, რომ ეს მექანიზმი მხოლოდ ხელშეკრულების ფორმალური და დროებითი დებულება არ ყოფილა, არამედ ხანგრძლივად პრაქტიკაშიც გამოიყენებოდა: კომპანიებს შორის ელექტრონული მიმოწერა ცხადყოფს, რომ ისინი კონკრეტულ შემთხვევებში ერთმანეთს უზიარებდნენ ინფორმაციას ბიზნეს შესაძლებლობების შესახებ და თანხმდებოდნენ, თუ ვინ მიმართავდა კონკრეტულ მომხმარებელს ან საჯარო შესყიდვას, მათ შორის ნოვე მესტო ნა მორავეს, პრაღის აეროპორტისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების ცენტრის ხელშეკრულებებთან დაკავშირებით. შესაბამისად, უწყებამ დაასკვნა, რომ O2-სა და SHERLOG-ს შორის, სულ მცირე, 2012 წლის 7 დეკემბრიდან 2022 წლის 9 ივნისამდე არსებობდა და პრაქტიკაში ხორციელდებოდა მომხმარებელთა განაწილების შესახებ აკრძალული მიზნობრივი შეთანხმება, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა მხარეთა მომავალი კონკურენტული ქცევის განუსაზღვრელობის აღმოფხვრა და ურთიერთკონკურენციის შეზღუდვა მომხმარებელთა მოზიდვაში.

ჯარიმების ოდენობის განსაზღვრისას გადამწყვეტი როლი ითამაშა კონკურენციის საწინააღმდეგო ქმედების ხანგრძლივობამ. შემამსუბუქებელი გარემოებების არარსებობის გამო SHERLOG-ს დაეკისრა 18,357,000 ჩეხური კრონის სანქცია და, საჯარო შესყიდვასთან დაკავშირებით ჩადენილი სამართალდარღვევის გამო, ექვსი თვით აეკრძალა საჯარო შესყიდვების შესრულება. O2-ის შემთხვევაში ასეთი აკრძალვა არ დაწესებულა, ვინაიდან მას შესაძლოა მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა მოეხდინა კონკურენციაზე სატელეკომუნიკაციო მომსახურების სფეროში, სადაც O2 მნიშვნელოვან საბაზრო წილს

ფლობს, ამის ნაცვლად, მისი ჯარიმა 75 მილიონ ჩეხურ კრონაზე მეტით გაიზარდა და ჯამურად 262,320,000 ჩეხურ კრონას შეადგინა.

წყარო:

02



ჩეხეთის კონკურენციის დაცვის ოფისი

კონკურენციის დაცვის ოფისის თავმჯდომარემ პრაღის მუნიციპალიტეტს კონკურენციის წესების დარღვევისთვის ახალი ჯარიმა დააკისრა

კონკურენციის დაცვის უწყების თავმჯდომარემ, პრაღის დედაქალაქისთვის ახალი ჯარიმა განსაზღვრა აზარტული თამაშების ორგანიზების მარეგულირებელი ზოგადსავალდებულო დადგენილების მეშვეობით კონკურენციის წესების დარღვევის გამო. გადაწყვეტილება ეფუძნება ბრნოს რეგიონული სასამართლოს დასკვნებს, რომელმაც საქმის განხილვისას გაითვალისწინა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ამ რთულ საქმეზე გასულ წელს გამოტანილი გადაწყვეტილებაც. უწყების თავმჯდომარის საბოლოო გადაწყვეტილებით, ახალი ჯარიმის ოდენობა 1.308 მილიონი ჩეხური კრონია.

მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, კონკურენციის დაცვის შესახებ კანონის დარღვევა შეუძლიათ არა მხოლოდ კომპანიებს, არამედ ქალაქებსა და მუნიციპალიტეტებსაც, რაც სწორედ პრაღის დადგენილების შემთხვევაში მოხდა. „მუნიციპალიტეტმა შეცდომა დაუშვა, როდესაც საფუძვლიანი მიზეზების გარეშე დაამახინჯა კონკურენცია თავისი ტერიტორიის აზარტული თამაშების ბაზარზე, იმ კონკურენტების ხელშეწყობით, რომლებსაც განსაზღვრულ ადგილებში აზარტული თამაშების ორგანიზების გაგრძელება შეეძლოთ"- განაცხადა უწყების თავმჯდომარემ. მიმდინარე გადაწყვეტილების თანახმად, კონკურენციის საწინააღმდეგო ქმედება 2018 წლის 21 დეკემბრიდან 2020 წლის 31 დეკემბრამდე მიმდინარეობდა.

თავის გადაწყვეტილებაში სასამართლომ გამიჯნა რეგულირების ორი ფორმა - აზარტული თამაშების მიზნობრივი და live თამაშების ზოგადი რეგულირება- და საკონსტიტუციო სასამართლოს დასკვნების გათვალისწინებით დაასკვნა, რომ არამართლზომიერი სწორედ მიზნობრივი რეგულირება იყო. ეს დასკვნა უწყებას ახალი გადაწყვეტილების მიღებისას ასევე უნდა გაეთვალისწინებინა.

ახალი გადაწყვეტილების თანახმად, პრაღის მერიამ შეცდომა დაუშვა, როდესაც ქალაქის ტერიტორიაზე გაავრცელა რეგულირება, რომლის მიხედვითაც აზარტული თამაშების ორგანიზება დასაშვები იყო მხოლოდ პრაღის ქალაქის №10/2015 ზოგადსავალდებულო დადგენილების დანართში ჩამოთვლილ მისამართებზე. დადგენილება განსაზღვრავდა ლატარიებისა და მსგავსი თამაშების ორგანიზების ადგილებსა და დროს, ასევე მათი პოპულარიზაციის შემზღუდველ ღონისძიებებს, ისე რომ ამ ადგილების შერჩევა ობიექტურ, არადისკრიმინაციულ და წინასწარ ცნობილ კრიტერიუმებს არ ეფუძნებოდა. ამან, საფუძვლიანი მიზეზების გარეშე, დაამახინჯა ეკონომიკური კონკურენცია პრაღის ტერიტორიაზე აზარტული თამაშების ბაზარზე, ვინაიდან უპირატესობა მიენიჭა იმ კონკურენტებს, რომლებსაც დაშვებულ მისამართებზე აზარტული თამაშების ორგანიზების გაგრძელება შეეძლოთ რითაც კანონი დაირღვა.

„უწყება არავითარ შემთხვევაში არ აყენებს ეჭვქვეშ ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებას, დაარეგულიროს აზარტული თამაშები. თუმცა, კანონის მოთხოვნებზე დაყრდნობით, იგი ამოწმებს, არის თუ არა დაწესებული შეზღუდვები ობიექტური და არადისკრიმინაციული", განაცხადა უწყებამ.

წყარო:

03

ჩეხეთის კონკურენციის დაცვის ოფისი

პრაღის სატრანსპორტო კომპანიას 800,000 ჩეხური კრონის ჯარიმა დაეკისრა

კონკურენციის დაცვის უწყებამ, პრაღის დედაქალაქის სატრანსპორტო კომპანიას 800,000 ჩეხური კრონის ჯარიმა დააკისრა ხელშეკრულების გაფორმებისას დაშვებული დარღვევებისთვის, ტენდერის პირობებმა არაგონივრულად შეზღუდა განაცხადის შეტანის უფლების მქონე კომპანიების რაოდენობა. გადაწყვეტილება ამჟამად საბოლოოა.

ტენდერში მონაწილეობის მსურველ კომპანიებს მოეთხოვებოდათ, ბოლო სამი წლის განმავლობაში განეხორციელებინათ საზოგადოებრივი ტრანსპორტისთვის განკუთვნილი სარკინიგზო სატრანსპორტო საშუალებების მქონე ობიექტის ფიზიკური დაცვის სულ მცირე ერთი მომსახურება, ხოლო მათ დაცვის პერსონალს ლიანდაგზე შესვლის უფლების

მოსაპოვებელი პროფესიული მომზადება უნდა ჰქონოდა, თუმცა ამ პირობას ობიექტური საფუძველი არ ჰქონდა.

სატრანსპორტო კომპანიამ საკვალიფიკაციო მოთხოვნების მინიმალური ზღვარი ხელშეკრულების საგნის სირთულესთან შეუსაბამოდ დააწესა და ამით მომწოდებელთა მონაწილეობა არაგონივრულად შეზღუდა, რითაც კონკურენციისთვის დაუსაბუთებელი დაბრკოლება შექმნა.

სატრანსპორტო კომპანია საზოგადოებრივი ტრანსპორტის სპეციფიკურობით იცავდა თავის მოთხოვნებს, თუმცა, უწყების დასკვნით, არ დასტურდება, რომ არასაზოგადოებრივ და საზოგადოებრივ რეჟიმში ექსპლუატირებულ სარკინიგზო სატრანსპორტო საშუალებებთან დაცვის გამოცდილება არსებითად განსხვავდება ერთმანეთისგან. გარდა ამისა, მოთხოვნილ მომზადებას კონკრეტული ერთგვაროვანი შინაარსი არ გააჩნია, ხოლო კომპანიამ თავადვე განაცხადა, რომ ლიანდაგზე შესვლისთვის საჭირო მომზადებას ხელშეკრულების შესრულების დაწყებისთანავე თავად განახორციელებდა.

ვინაიდან სატრანსპორტო კომპანიას შერჩეულ მომწოდებელთან, „CENTR GROUP – CENTR GROUP Elmont"-თან, ხელშეკრულება უკვე გაფორმებული ჰქონდა, უწყება ვალდებული იყო ჯარიმა დაეკისრებინა, ჯარიმა ორ ფუნქციას ემსახურება: სადამსჯელოს, კანონით დადგენილი ვალდებულებების დარღვევის სანქცირებისთვის, და პრევენციულს კანონის მომავალი დარღვევების თავიდან ასაცილებლად.

წყარო:

01

ლიეტუვის მომხმარებელთა დაცვის სახელმწიფო უწყება

ლიეტუვის მომხმარებელთა დაცვის სახელმწიფო უწყებამ ჯარიმები დააკისრა ელექტრონული კომერციის ოპერატორებს

ლიეტუვის მომხმარებელთა დაცვის სახელმწიფო უწყებამ (VVTAT) ჯარიმები დააკისრა ელექტრონული კომერციის საქმიანობით დაკავებულ კომპანია MB „FURNY"-სა და ინდივიდუალურ მეწარმეს, ალექსანდრ რომაჩინს. პირველ შემთხვევაში კომპანიამ ვერ შეასრულა საქონლის მიწოდებისა და მომხმარებელთათვის თანხის დაბრუნების ვალდებულებები და არც მომხმარებელთა პრეტენზიებზე უპასუხა, ხოლო მეორე

შემთხვევაში მეწარმემ ვერ უზრუნველყო მომხმარებლებისთვის კანონმდებლობით სავალდებულო და ზუსტი ინფორმაციის მიწოდება.

გადაიხადეს ასეულობით ევრო, თუმცა საქონელი ვერ მიიღეს



ავეჯის ონლაინ მაღაზია MB „FURNY" (www.mkampas.lt) იღებდა მომხმარებელთა შეკვეთებსა და გადახდებს, თუმცა სახელშეკრულებო ვალდებულებებს არ ასრულებდა და საქონელს არ აწვდიდა. ზოგიერთ მყიდველს საქონლის დაგვიანებული მიწოდება ჰქონდა დაპირებული, თუმცა საბოლოოდ კომპანიამ პრეტენზიებზე პასუხის გაცემაც შეწყვიტა.

2025 წლის 15 მაისიდან 2026 წლის 12 მაისამდე პერიოდში VVTAT-მა კომპანიის საქმიანობასთან დაკავშირებით 18 მომხმარებლის მიმართვა მიიღო; მომხმარებელთა მიერ დადებული გარიგებების ღირებულებამ 500-1000 ევროს და მეტს მიაღწია.

მოკვლევამ დაადგინა, რომ კომპანია მომხმარებლებს წინასწარ არ აფრთხილებდა საქონლის მიწოდების შესაძლო შეფერხების ან ვალდებულებების შესრულების ხელისშემშლელი სხვა გარემოებების შესახებ. მომხმარებელთა მოთხოვნის მიუხედავად, თანხის დაბრუნება არ ხდებოდა, ხოლო პრეტენზიებზე პასუხის გაცემის ვალდებულებაც შეუსრულებელი დარჩა, რაც ხელს უშლიდა დავების მშვიდობიან მოგვარებას.

გარემოებების შეფასების შედეგად, სამოქალაქო კოდექსისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ კანონის დარღვევისთვის, MB „FURNY"-ს 2,750 ევროს ჯარიმა დაეკისრა.

Sellmarket-მა მომხმარებლებს სავალდებულო ინფორმაცია არ მიაწოდა

VVTAT-მა დარღვევები გამოავლინა ასევე ალექსანდრ რომაჩინის მიერ, ონლაინ მაღაზიის საქმიანობის ფარგლებში www.sellmarket.lt. შემოწმებამ დაადასტურა, რომ ონლაინ მაღაზია მომხმარებლებს არ აწვდიდა შემდეგ სავალდებულო ინფორმაციას:

- საქმიანობის განმახორციელებელი მეწარმის სახელი და გვარი;
- დისტანციური ხელშეკრულებიდან გასვლის კანონმდებლობით დადგენილი ვადა, მის ნაცვლად მითითებული იყო უფრო მოკლე, 7-დღიანი ვადა;
- ზუსტი ინფორმაცია დასაბრუნებელი თანხის შესახებ, შეცდომაში შემყვან ინფორმაციად მითითებული იყო, რომ ხელშეკრულებიდან გასვლისას დაბრუნდებოდა მხოლოდ საქონლის ღირებულება, მიწოდების ხარჯების გარეშე;
- მოქმედი (და არა მოძველებული) საკანონმდებლო აქტების მითითება;

- მკაფიო ინფორმაცია საქონლის მიწოდების ვადების შესახებ;
- კანონმდებლობით გათვალისწინებული ინფორმაცია გარანტიის, საგარანტიო მომსახურებისა და შეუსაბამო ხარისხის საქონლის დაბრუნების შესახებ;
- ინფორმაცია სამომხმარებლო დავების სასამართლოს გარეშე მოგვარებაზე უფლებამოსილი ორგანოების შესახებ.

კანონმდებლობა მეწარმეებს ავალდებულებს, ხელშეკრულების დადებამდე მომხმარებელს მკაფიოდ, გასაგებად და ხელმისაწვდომად მიაწოდონ ყველა სავალდებულო ინფორმაცია. VVTAT-მა არაერთხელ აცნობა მეწარმეს გამოვლენილი ხარვეზების შესახებ, თუმცა ისინი არ აღმოფხვრილა.

ალექსანდრ რომაჩინს ანალოგიური დარღვევებისთვის 1,200 ევროს ჯარიმა დაეკისრა.

VVTAT ახსენებს: ელექტრონულ კომერციაშიც მეწარმეს ვალდებულებები აქვს

ელექტრონული კომერციის საქმიანობით დაკავებულმა მეწარმეებმა არა მხოლოდ დროულად უნდა მიაწოდონ შეკვეთილი საქონელი და ჯეროვნად შეასრულონ სახელშეკრულებო ვალდებულებები, არამედ ასევე უნდა უზრუნველყონ, რომ მომხმარებელმა შესყიდვამდე მიიღოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა ინფორმაცია.

VVTAT მოუწოდებს მომხმარებლებს, ონლაინ შესყიდვამდე შეაფასონ, მკაფიოდ უთითებს თუ არა ონლაინ მაღაზია გამყიდველის ვინაობას, საკონტაქტო ინფორმაციას, მიწოდებისა და დაბრუნების პირობებს, გარანტიებსა და სხვა სავალდებულო ინფორმაციას, ასევე გაეცნონ სხვა მომხმარებელთა შეფასებებს.

წყარო:

02



ლიეტუვის მომხმარებელთა დაცვის სახელმწიფო უწყება

ლიეტუვის ბაზარზე საშიში პროდუქტების განთავსებისთვის კომპანიებს ჯარიმები დაეკისრათ



ლიეტუვის მომხმარებელთა დაცვის სახელმწიფო უწყებამ (VVTAT) რამდენიმე კომპანიას ჯარიმა და გაფრთხილება დააკისრა ბაზარზე საშიში პროდუქციის

განთავსებისთვის, ელექტრომოწყობილობების, სათამაშოების, კოსმეტიკის, სამშენებლო მასალებისა და საყოფაცხოვრებო ქიმიის სფეროებში.

ხუთ სხვადასხვა ელექტროგირლანდსა და ერთ ელექტროგამანაწილებელზე დადგინდა ერთგვაროვანი დარღვევები, სავალდებულო ნიშანდებისა და გაფრთხილებების არარსებობა, დაუცველი სადენები და ძაბვის ქვეშ მყოფი ნაწილების ხელმისაწვდომობა, რაც ელექტროდაზიანებისა და სიკვდილის სერიოზულ რისკს ქმნიდა. დამრღვევ კომპანიებს (UAB „Flamanda", UAB „Lizeja", ალექსანდრ დაგილი, UAB „Varle", UAB „Katarata") სულ დაეკისრათ 1,000-დან 3,100 ევრომდე ჯარიმები, ერთ შემთხვევაში კი მხოლოდ გაფრთხილება, ყველა მათგანს დამატებით დაეკისრა ექსპერტიზის ხარჯების ანაზღაურება.

სათამაშოების სფეროში UAB „BLM"-ის ჩხრიალა სათამაშოებმა დახრჩობის რისკი შექმნა მცირე ნაწილების ამოვარდნის გამო, ხოლო UAB „Markadas"-ის ელასტიური ხელების სათამაშოს შეფუთვის თხელმა ფირმა დაფარვის რისკი გამოიწვია, ორივე კომპანიას დაეკისრა 3,300 ევროს ჯარიმა.

კოსმეტიკის მიმართულებით ორი მზისგან დამცავი საშუალება ვერ პასუხობდა დეკლარირებულ დაცვას: UAB „Lenova"-ს საბავშვო კრემის ფაქტობრივი SPF დეკლარირებულზე სამჯერ დაბალი აღმოჩნდა, ხოლო E. Valiukas-ის სპრეი-ლოსიონის რვაჯერ დაბალი, რაც კანის დამწვრობის, ალერგიისა და კიბოს რისკს ზრდის. ორივე კომპანიას დაეკისრა 3,000 ევროს ჯარიმა.

ცალკეულ შემთხვევებში ასევე დადგინდა, რომ AB „Specializuota komplektavimo valdyba"-ს ცემენტბაზირებულმა ფილებმა ვერ დააკმაყოფილეს დეკლარირებული ცეცხლმედეგობის კლასი (ჯარიმა 5,000 ევრო), ხოლო UAB „Kesko Senukai Lithuania"-ს საკონტაქტო წებოში ტოქსიკური ტოლუოლის დასაშვები კონცენტრაცია გადაჭარბებული იყო (ჯარიმა 4,800 ევრო).

VVTAT-მა აკრძალა ყველა ზემოაღნიშნული პროდუქციის მიწოდება ბაზარზე და ოპერატორებს დაავალა მისი ამოღება, მომხმარებლებისგან გამოთხოვა და განადგურება. მომხმარებლებს, ვინც ეს პროდუქცია შეიძინა, მოუწოდებენ, აღარ გამოიყენონ იგი და დაუკავშირდნენ გამყიდველებს თანხის დასაბრუნებლად. უწყების გადაწყვეტილებების გასაჩივრება შესაძლებელია ადმინისტრაციულ სასამართლოში, ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში.

წყარო:

01



სომხეთის კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის კომისია

სომხეთის უწყებამ რძის მწარმოებლებს დარღვევებისთვის ჯარიმა დააკისრა



კონკურენციისა და მომხმარებელთა დაცვის კომისიამ, ფართომასშტაბიანი მოკვლევის ფარგლებში, საქმისწარმოება წამოიწყო 11 რძის მწარმოებელი კომპანიის მიმართ, მომხმარებელთა ინტერესების საწინააღმდეგო დარღვევების აშკარა ნიშნების საფუძველზე.

მათგან ხუთმა "Motkor Food", "Echmiadzin Kat", "Hin Aparan+", "Ar-Tar" და "Amasiai Main Cheese Factory" დარღვევები ცნო, რის შედეგადაც მათ მიმართ დაჩქარებული წარმოება იქნა გამოყენებული და ჯამში დაეკისრათ დაახლოებით 16.5 მილიონი დრამის ჯარიმა.

ლაბორატორიულმა ტესტირებამ დაადგინა, რომ ზემოაღნიშნული კომპანიების რიგი პროდუქტების რძის ცხიმის მასური წილი, შესაბამისად, 5.4%, 15%, 25.5%, 18%, 1% და 0.9% იყო მაშინ, როცა საბაჟო კავშირის შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტის თანახმად, ეს მაჩვენებელი სულ მცირე 50%-ს უნდა შეადგენდეს. კერძოდ, დარღვევა ეხება შემდეგ პროდუქტებს:

- „მოტკორის" სახელწოდებით წარმოებული რძის შემცვლელით დამზადებული პროდუქტი;
- სავაჭრო ნიშნით „ამასია", დასახელებით „ჭანახი", „ჭანახის" ყველის ტექნოლოგიით, თუმცა რძის შემცვლელის გამოყენებით დამზადებული პროდუქტი;
- სავაჭრო ნიშნით „გემრიელი ყველი" წარმოებული, ანალოგიურად რძის შემცვლელის შემცველი პროდუქტი;
- სახელწოდებით „AT-ARAT" წარმოებული რძის შემცვლელის შემცველი პროდუქტი;
- სავაჭრო ნიშნით „EJMIATSIN Kat", დასახელებით „ოჯახური" (ცხიმიანობა 18%) წარმოებული რძის შემცვლელის შემცველი პროდუქტი;

- „ძველი აპარანის" ხაჭო-არაჟნის ტექნოლოგიით, რძის შემცვლელის გამოყენებით დამზადებული პროდუქტი.

დანარჩენი 6 საქმისწარმოება ჯერ კიდევ მოკვლევის პროცესშია.

წყარო:

01



ხორვატიის კონკურენციის სააგენტო

ხორვატიის უწყებამ არასამართლიანი სავაჭრო პრაქტიკის დაწესებისთვის კომპანია 10 000 ევროს ოდენობით დააჯარიმა

ხორვატიის კონკურენციის სააგენტომ სურსათის მიწოდების ჯაჭვში არასამართლიანი სავაჭრო პრაქტიკის აკრძალვის შესახებ კანონის დარღვევისთვის ELIZABETA PROMET doo-ს 10,000 ევროს ჯარიმა დააკისრა.

AZTN-მა საკუთარი ინიციატივით წამოიწყო ადმინისტრაციული წარმოება ELIZABETA PROMET doo-ს მიმართ, რათა დაედგინა, გამოიყენა თუ არა ამ მყიდველმა სასოფლო-სამეურნეო და სასურსათო პროდუქციის მიმწოდებლების მიმართ საკუთარი მნიშვნელოვანი სავაჭრო ძალაუფლება, მათთვის არასამართლიანი სავაჭრო პრაქტიკის დაწესებით.

მოკვლევის შედეგად სააგენტომ დაადგინა, რომ ELIZABETA PROMET doo-მ გამოიყენა მნიშვნელოვანი სავაჭრო ძალაუფლება არასამართლიანი სავაჭრო პრაქტიკის დაწესებით, კერძოდ, ორ მიმწოდებელთან საქმიანი ურთიერთობა წერილობითი ხელშეკრულების გარეშე აწარმოა.

AZTN-მა 10,000 ევროს ოდენობის ჯარიმა განსაზღვრა დარღვევის სიმძიმის, მასშტაბის, ხანგრძლივობისა და მიმწოდებლებზე მისი შედეგების, ასევე რიგი შემამსუბუქებელი გარემოებების გათვალისწინებით.

ასეთი ჯარიმის მიზანია არა მხოლოდ დამრღვევის დასჯა და მისი არამართლზომიერი ქმედების დაგმობა, არამედ სამართლიანი სავაჭრო პრაქტიკის დამკვიდრება, უზრუნველყოფა და დაცვა, ვინაიდან მხოლოდ ასეთ პრაქტიკას შეუძლია დაიცვას სასოფლო-სამეურნეო და სასურსათო მიწოდების ჯაჭვის ყველა მონაწილე. ჯარიმას ასევე

პრევენციული დანიშნულება აქვს, იგი დამრღვევს აკავებს შემდგომი არამართლზომიერი ქმედებისგან, ცნობიერს ხდის კანონის სრულად დაცვის აუცილებლობის შესახებ იმ მიმწოდებლებთან ურთიერთობაში, რომელთა მიმართაც მას მნიშვნელოვანი სავაჭრო ძალაუფლება გააჩნია.

წყარო:



ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს (CJEU) პრაქტიკის მიმოხილვა - კონკურენციის შემზღუდველი ქმედებები (Art. 101 of TFEU).

სარჩევი

- აკრძალული შეთანხმებები (Art. 101 of TFEU) - შეთანხმებული ქმედება (Concerted practice) 16
- საკონსულტაციო კომპანიისთვის პასუხისმგებლობის დაკისრება კარტელში მონაწილების გამო 18
- ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა იმ შვილობილი კომპანიისგან, რომლის მშობელ კომპანიასაც დაუდგინდა დარღვევა (მონაწილეობდა კარტელში) 21

აკრძალული შეთანხმებები (Art. 101 of TFEU) - შეთანხმებული ქმედება (Concerted practice)

C-264/23 Booking.com - სრული გადაწყვეტილების ბმული: infocuria.curia.europa.eu/tabs/document?source=document&text=&docid=290211&pageIndex=0&doclang=EN&mode=lst&dir=&occ=first&part=1&cid=7088427

1. ფაქტობრივი გარემოებები

Booking.com წარმოადგენს ნიდერლანდურ კომპანიას, რომელიც მთელი მსოფლიოს მასშტაბით სასტუმროებისა და განთავსების ადგილების დაჯავშნის ონლაინ მომსახურებითაა დაკავებული. აღნიშნულ პლატფორმაზე წარმოდგენილები არიან სასტუმროები, რომლებიც Booking.com-ს უხდიან გარკვეულ საკომისიოს პლატფორმის მეშვეობით განხორციელებული ჯავშნებისთვის.

Booking.com დიდი ხნის განმავლობაში იყენებდა ორი სახის ფასთა პარიტეტის პირობას: 1) ფართო ფასთა პარიტეტის პირობებს (რომლებიც კრძალავდა სასტუმროსთვის კონკურენტ პლატფორმებზე უკეთესი ფასის შეთავაზებას) და 2) ვიწრო ფასთა პარიტეტის პირობებს (რომლებიც კრძალავდა სასტუმროს საკუთარ ვებგვერდზე უფრო დაბალი ფასის დაწესებას). დროთა განმავლობაში ფართო ფასთა პარიტეტის პირობები ევროპის მასშტაბით კონკურენციისთვის საზიანოდ იქნა აღიარებული და Booking.com-მაც შეწყვიტა მათი გამოყენება. ვიწრო ფასთა პარიტეტის პირობების შესახებ კი კონსენსუსი არ არსებობდა.

Booking.com-მა თავად მიმართა ამსტერდამის სასამართლოს, რათა დაედასტურებინა შეთანხმებების კანონიერება. სასამართლომ პრეიუდიციული გადაწყვეტილებისთვის მიმართა ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს (CJEU) შეიძლებოდა თუ არა TFEU-ის 101-ე მუხლის მიზნებისთვის ეს პირობა ჩათვლილიყო დამხამრე პირობად ან შესაძლებელი იყო თუ არა ეს პირობა გამონაკლისად ჩათვლილიყო, რომელიც უმნიშვნელოდ ზღუდავდა კონკურენციას.

2. სასამართლოს მსჯელობა

სასამართლოს განმარტებით, თანმდევი შეზღუდვის (ancillary restraint) კონცეფცია გულისხმობს, რომ ქმედება, რომელიც გარკვეულწილად ზღუდავს კონკურენციას, შესაძლოა გამოირიცხოს TFEU-ის 101(1) მუხლის მოქმედების სფეროდან, თუკი ის აუცილებელია საქმიანობის განსახორციელებლად და ბიზნესის სიცოხლისუნარიანობისთვის. ასეთი პრაქტიკის თანმდევ შეზღუდვად მიჩნევისთვის, ის უნდა იყოს აუცილებელი პლატფორმის, როგორც ეკონომიკური კონსტრუქციის ფუნქციონირებისთვის და არა კონკრეტული ბიზნეს-მოდელისთვის.

CJEU-მ დაასკვნა, რომ Booking.com-ის მიერ დაწესებული პირობები თანმდევ შეზღუდვად ვერ ჩაითვლებოდა, ვინაიდან ასეთი პირობები არც პლატფორმის შესაქმნებლად და არც

მისი ფუნქციონირებისთვის არ იყო აუცილებელი. ეს დაკავშირებული იყო ბიზნეს სტრატეგიასთან.

რაც შეეხება მეორე კითხვას, იმისთვის, რომ Booking.com-ის მიერ დაწესებული პირობები საგამონაკლისოდ ჩათვლილიყო ამისთვის საჭირო იყო ბაზრის განსაზღვრა, სადაც მისი წილი 30%-ს არ გადააჭარბებდა. პრეიუდიციული განხილვის ფარგლებში, კონკრეტული ბაზრის განსაზღვრა CJEU-ის კომპეტენციაში არ შედის. სასამართლოს შეუძლია მხოლოდ ზოგადი მეთოდოლოგიის განმარტება დამკვიდრებული პრეცედენტული სამართლისა და ევროკომისიის პრაქტიკის შესაბამისად, თუმცა არა კონკრეტული ბაზრის ან საქონლის/მომსახურებებს ურთიერთჩანაცვლებადობის შეფასება.

სასამართლო დაეყრდნო ევროკომისიის პრაქტიკას ბაზრის განსაზღვრის ზოგადი მეთოდოლოგიის საფუძველზე, რომლის მიხედვითაც პლატფორმა დომინანტურ მდგომარეობას უახლოვდება. ასევე, ეროვნული სასამართლოების პრაქტიკას, რომლის მიხედვითაც Booking.com-ი დომინანტ ეკონომიკურ აგენტად ჩაითვალა. სასამართლომ ასევე მიუთითა Booking/eTraveli-ს შერწყმის საქმეზე, სადაც კომისიის კვლევით პლატფორმა დომინანტურ პოზიციას იკავებდა ონლაინ სამოგზაურო სააგენტოების (OTA) ბაზარზე. აღნიშნულ საქმეების მითითება ფაქტობრივად გამორიცხავს პლატფორმის შესაძლებლობას ამგვარი შეთანხმება მოექცეს საგამონაკლისო წესში, ვინაიდან მისი წილი შესაბამის ბაზარზე 30%-ს ნამდვილად აღემატება.

3. სასამართლოს გადაწყვეტილება

Booking.com აღნიშნავდა, რომ ის არ აწესებს ფიქსირებულ გადასახადს სასტუმროებისთვის. ის შემოსავალს იღებს მხოლოდ მაშინ, როცა განთავსების ობიექტის დაჯავშანა რეალურად მისი პლატფორმის მეშვეობით ხდება. სასამართლომ არ გაითვალისწინა არგუმენტი იმის შესახებ, რომ მომხმარებლები Booking.com-ის პლატფორმაზე ონლაინ ეძებენ ოთახებს, ადარებდნენ ფასებს, კითხულობდნენ შეფასებებს - ანუ იყენებდნენ Booking.com-ის ინფრასტრუქტურას და ინვესტიციას (საძიებო სისტემა, ფილტრები, შედარების ხელსაწყოები). მაგრამ, თანხის დაზოგვის მიზნით, სასტუმროს ვებგვერდიდან ჯავშნიდნენ ოთახებს.

სასამართლომ დაასკვნა, რომ Booking.com-ის მიერ სასტუმროებთან დადებული ხელშეკრულებები თავისი არსით ზღუდავს კონკურენციას, ვინაიდან მსგავსი შინაარსის შეთანხმება **არ არის ობიექტურად აუცილებელი** პლატფორმის ფუნქციონირებისთვის, ფართო ფასთა პარიტეტის პირობა აზიანებს კონკურენციას ონლაინ პლატფორმებს შორის და პატარა კონკურენტების ბაზრიდან განდევნის საფრთხეს ქმნის, ვიწრო ფასთა პარიტეტის პირობაც, თუნდაც ნაკლებად საზიანო იყოს, მაინც **არ არის აუცილებელი** პლატფორმის ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობისთვის. ამ გადაწყვეტილებით Booking.com-ს აეკრძალა სასტუმროებთან და განთავსების ობიე ქტებთან ასეთი შეთანხმების გაფორმება.

საკონსულტაციო კომპანიისთვის პასუხისმგებლობის დაკისრება კარტელში მონაწილების გამო

AC-Treuhand AG v European Commission (C-194/14 P) - **სრული გადაწყვეტილება იხილეთ ბმულზე:** https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=celex:62014CJ0194

1. ფაქტობრივი გარემოებები

საქმე ეხება ევროკავშირის კონკურენციის სამართალში ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს, კერძოდ, შეიძლება თუ არა საკონსულტაციო კომპანიას დაეკისროს პასუხისმგებლობა კარტელში მონაწილეობისთვის, როდესაც იგი თავად არ საქმიანობს იმ ბაზარზე, რომელზეც კარტელი მოქმედებს.

AC-Treuhand AG წარმოადგენდა შვეიცარიაში დაფუძნებულ საკონსულტაციო კომპანიას, რომელიც პროფესიულ ასოციაციებსა და საწარმოებს უწევდა ადმინისტრაციულ და საკონსულტაციო მომსახურებას, მათ შორის ბაზრის მონაცემების შეგროვებასა და დამუშავებაში.

ევროკომისიამ დაადგინა, რომ **კალის სტაბილიზატორებისა და ESBO/esters-ის (ეპოქსიდის)** სექტორებში მოქმედი კონკრეტული მწარმოებლები მონაწილეობდნენ ხანგრძლივ კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანხმებებსა და შეთანხმებულ პრაქტიკაში, რომლებიც მოიცავდა ფასების ფიქსირებას, ბაზრებისა და მომხმარებლების განაწილებას და კომერციულად სენსიტიური ინფორმაციის გაცვლას.

თავად AC-Treuhand ზემოაღნიშნული სექტორების არც ზედა და არც ქვედა ბაზარზე არ საქმიანობდა, თუმცა იგი აქტიურად უწყობდა ხელს კარტელის ფუნქციონირებას. რაც ევროკომიის აზრით გამოიხატა შემდეგში, იგი:

- ორგანიზებას უწევდა კარტელის მონაწილეთა შეხვედრებს;
- ესწრებოდა და აქტიურად მონაწილეობდა მათში;
- აგროვებდა და ავრცელებდა გაყიდვების შესახებ მონაცემებს;
- ხელს უწყობდა მონაწილეებს შორის შეთანხმებისა და კომპრომისის მიღწევას;
- ასრულებდა მოდერატორის როლს დაძაბულობის წარმოშობის შემთხვევაში;
- ამ მომსახურებისთვის იღებდა ანაზღაურებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულისა გათვალისწინებით კომისიამ AC-Treuhand მიიჩნია სამართალდამრღვევად და მას ორი დარღვევისთვის 174 000 ევროს ოდენობის ორი ჯარიმა დააკისრა.

2. საერთო სასამართლოს გადაწყვეტილება

AC-Treuhand-ს მიერ აღნიშნული გადაწყვეტილება გასაჩივრებული იქნა ევროკავშირის საერთო სასამართლოში. მომჩივანი მოითხოვდა გადაწყვეტილების და შესაბამისად დაკისრებული ჯარიმის სრულად გაუქმებას.

AC-Treuhand-ის ძირითადი არგუმენტაცია ეყრდნობოდა იმას, რომ მისი, როგორც საკონსულტაციო კომპანიის ქმედება არ ექცეოდა EC ხელშეკრულების 81(1)-ე მუხლის (დღეს — TFEU-ის 101(1)-ე მუხლი) ფარგლებში, რადგან იგი არ იყო კარტელით დაზარალებულ ბაზარზე მოქმედი საწარმო. მომჩივანი, ასევე მიუთითებდა, რომ მისთვის განჭვრეტადი არ იყო აღნიშნული ქმედების შესაბამისი პასუხისმგებლობა.

საერთო სასამართლომ ეს არგუმენტები არ გაიზიარა და დაადგინა, რომ AC-Treuhand-ის მონაწილეობა კარტელის საქმიანობაში საკმარისად მჭიდრო და მიზანმიმართული იყო იმისთვის, რომ მისი ქმედება კონკურენციის სამართლის აკრძალვის ფარგლებში მოქცეულიყო.

AC-Treuhand-მა საერთო სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება გაასაჩივრა CJEU-ში.

3. CJEU-ის არსებითი შეფასება

CJEU-მ დაადასტურა, რომ 81 (1) მუხლი არ მოითხოვს, რომ კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანხმების ყველა მონაწილე იმავე ბაზარზე საქმიანობდეს, რომელზეც შეთანხმება ახდენს გავლენას.

„შეთანხმებაში“ ან „შეთანხმებულ პრაქტიკაში“ მონაწილეობის დასადგენად არსებითია არა ის, თუ რომელ ბაზარზე საქმიანობს კონკრეტული სუბიექტი, არამედ მისი შეგნებული და მიზანმიმართული წვლილი კონკურენციის საწინააღმდეგო საერთო მიზნის მიღწევაში.

CJEU-ის განმარტებით სუბიექტის პასუხისმგებლობისთვის მნიშვნელოვანია, რომ მას:

1. სურდეს თავისი ქმედებით წვლილი შეიტანოს კონკურენციის საწინააღმდეგო საერთო მიზანში;

2. ჰქონდეს ცოდნა სხვა მონაწილეთა მიერ განხორციელებული ან დაგეგმილი ანტიკონკურენტული ქმედებების შესახებ, ან გონივრულად შეეძლოს მათი წინასწარ განჭვრეტა;

3. მზად იყოს შესაბამისი რისკის ასაღებად.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კარტელში მონაწილეობა მხოლოდ უშუალოდ ფასების შეთანხმებაში ან ბაზრის განაწილებაში მონაწილეობას არ გულისხმობს. კარტელის ორგანიზებაში, განხორციელებასა და ფუნქციონირების უზრუნველყოფაში აქტიური დახმარებაც შეიძლება წარმოადგენდეს კონკურენციის სამართლის დარღვევაში მონაწილეობას.

3.1. AC-Treuhand-ის კონკრეტული როლი

CJEU-მ განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა AC-Treuhand-ის პრაქტიკულ როლს.

სასამართლომ მიიჩნია, რომ მისი მომსახურება არ იყო კარტელისგან დამოუკიდებელი, ნეიტრალური საკონსულტაციო მომსახურება. პირიქით, AC-Treuhand-ის საქმიანობა პირდაპირ უკავშირდებოდა კარტელის ფუნქციონირებას. კერძოდ,

მისი მოქმედებები უზრუნველყოფდა:

- კარტელის შეხვედრების ორგანიზებას;
- შეთანხმებების განხორციელების მონიტორინგს;
- მონაწილეებს შორის ინფორმაციის გაცვლას;
- კონფლიქტების მოგვარებას;
- კარტელური შეთანხმებების პრაქტიკაში განხორციელებას.

შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ AC-Treuhand ფორმალურად არ იყო კარტელის მწარმოებელი საწარმოების ნაწილი, მისი მომსახურება არსებითად ხელს უწყობდა კარტელის არსებობასა და გაგრძელებას.

3.2. განჭვრეტადობისა და კანონის განსაზღვრულობის პრინციპი

AC-Treuhand ამტკიცებდა, რომ მისი პასუხისმგებლობა არ იყო საკმარისად განჭვრეტადი, რადგან იმ დროისთვის სასამართლოს ჯერ არ ჰქონდა კონკრეტულად გადაწყვეტილი საკონსულტაციო კომპანიის მსგავსი ქმედების საკითხი.

CJEU-მ ეს არგუმენტი არ გაიზიარა და განმარტა, რომ *nullum crimen, nulla poena sine lege* (ქართ. დანაშაული და სასჯელი არ არსებობს კანონის გარეშე) პრინციპი არ გამორიცხავს სამართლებრივი ნორმის ფარგლების ეტაპობრივ განვითარებას სასამართლო პრაქტიკის საშუალებით.

მთავარია, რომ შესაბამის პირს, საჭიროების შემთხვევაში სამართლებრივი კონსულტაციის მიღებით, გონივრულად შეეძლოს წინასწარ განჭვრეტა, რომ მისი ქმედება შეიძლება კონკურენციის წესების დარღვევად იქნეს მიჩნეული.

სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ პროფესიული საქმიანობის განმახორციელებელ პირს მოეთხოვება განსაკუთრებული სიფრთხილე სამართლებრივი რისკების შეფასებისას.

3.3. ჯარიმის განსაზღვრა

AC-Treuhand ასევე სადავოდ ხდიდა ჯარიმის ოდენობის განსაზღვრის მეთოდს.

2006 წლის წესების მიხედვით-ის მიხედვით, ჯარიმის საბაზისო ოდენობის განსაზღვრისას, როგორც წესი, მხედველობაში მიიღება შესაბამისი საქონლის ან მომსახურების გაყიდვების ღირებულება.

თუმცა, CJEU-მ აღნიშნა, რომ AC-Treuhand საერთოდ არ საქმიანობდა კარტელით დაზარალებულ ბაზრებზე. შესაბამისად, მისი მომსახურების საფასური ვერ ასახავდა თავად დარღვევის ეკონომიკურ მნიშვნელობას ან AC-Treuhand-ის წონას კარტელში.

ამიტომ კომისიას უფლება ჰქონდა, 2006 წლის წესის 37-ე პუნქტის საფუძველზე, გადაეხვია ჩვეულებრივი მეთოდოლოგიისგან და ჯარიმა ფიქსირებული თანხის სახით (lump sum) დაედგინა.

საბოლოოდ, CJEU-მ სრულად უარყო AC-Treuhand-ის სააპელაციო საჩივარი.

სასამართლოს მთავარ არგუმენტს წარმოადგენდა, ის რომ, თუ მესამე პირი, მათ შორის საკონსულტაციო კომპანია, შეგნებულად და აქტიურად უწყობს ხელს კარტელის განხორციელებასა და გაგრძელებას, იცის ან უნდა იცოდეს მისი კონკურენციის საწინააღმდეგო მიზნების შესახებ და თავისი საქმიანობით ამ მიზნების მიღწევაში წვლილი შეაქვს, მისი ქმედება შეიძლება მოექცეს TFEU-ს 101-ე მუხლის პირველი პუნქტის მოქმედების ფარგლებში.

ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა იმ შვილობილი კომპანიისგან, რომლის მშობელ კომპანიასაც დაუდგინდა დარღვევა (კარტელში მონაწილეობის გამო)

Sumal SL v Mercedes Benz Trucks España SL (C-882/19) - სრული გადაწყვეტილება იხილეთ ბმულზე: https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=celex:62019CJ0882

1. ფაქტობრივი გარემოებები

Sumal SL-მა 1997–1999 წლებში Mercedes Benz Trucks España SL-ისგან ორი სატვირთო ავტომობილი შეიძინა. Mercedes Benz Trucks España კი წარმოადგენდა Daimler AG-ის შვილობილ კომპანიას.

2016 წელს ევროკომისიამ საქმეზე AT.39824 - Trucks დაადგინა, რომ Daimler-მა და ევროპის სხვა სატვირთო ავტომობილების მწარმოებლებმა დაარღვიეს TFEU-ის 101-ე მუხლი. კარტელი მოიცავდა სატვირთო ავტომობილების ფასებთან დაკავშირებულ შეთანხმებებს, ფასების ზრდას და ემისიის ტექნოლოგიების ხარჯების მომხმარებლებისთვის გადაკისრებას.

კომისიის გადაწყვეტილება პირდაპირ შეეხებოდა Daimler-ს, თუმცა იგი კავშირში არ იყო მის ესპანურ შვილობილ კომპანიასთან - Mercedes Benz Trucks España-სთან.

კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე Sumal-მა Mercedes Benz Trucks España-ს წინააღმდეგ შეიტანა სარჩელი და მოითხოვა ზიანის ანაზღაურება 22 204,35 ევროს ოდენობით, რომელიც, მისი მტკიცებით, კარტელის შედეგად სატვირთო ავტომობილების შეძენისას ზედმეტად გადაიხადა.

ესპანეთის პირველი ინსტანციის სასამართლომ სარჩელი არ დააკმაყოფილა იმ საფუძვლით, რომ კომისიის გადაწყვეტილებაში პასუხისმგებლად Daimler იყო მითითებული და არა Mercedes Benz Trucks España.

Sumal-მა გადაწყვეტილება გაასაჩივრა ბარსელონის პროვინციულ სასამართლოში, რომელმაც კონკრეტული საკითხების განმარტებისთვის მიმართა CJEU-ს.

2. CJEU-ს გადაწყვეტილება (დასმული საკითხების შეფასება)

2.1 CJEU-ს წინაშე დასმული საკითხი

არსებით განსახილველ საკითხს წარმოადგენდა იმის დადგენა, უფლებამოსილია თუ არა დაზარალებული, კონკურენციის სამართლის დარღვევით მიყენებული ზიანის ანაზღაურება მოითხოვოს იმ შვილობილი კომპანიისგან, რომლის მიმართაც ევროკომისიას გადაწყვეტილება არ მიუღია, თუმცა იგი მიეკუთვნება დარღვევის ჩამდენი მშობელი კომპანიის შემადგენელ ეკონომიკურ სუბიექტს. ამასთან, სასამართლოს უნდა ემსჯელა:

- ვრცელდება თუ არა „ერთიანი ეკონომიკური სუბიექტის“ (single economic unit) დოქტრინა მშობელი კომპანიის პასუხისმგებლობიდან შვილობილ კომპანიაზე;
- პასუხისმგებლობის დაკისრებისთვის საკმარისია თუ არა მშობელსა და შვილობილს შორის მხოლოდ კონტროლით შემოფარგლული ურთიერთობა;
- შვილობილ კომპანიას რა პირობებში შეიძლება დაეკისროს პასუხისმგებლობა მშობელი კომპანიის მიერ ჩადენილი დარღვევისთვის;
- ეწინააღმდეგება თუ არა ევროკავშირის სამართალს ეროვნული სამართლის ნორმა, რომელიც პასუხისმგებლობის მიკუთვნებას მხოლოდ კონტროლის არსებობას უკავშირებს.

2.2. CJEU-ს შეფასება

2.2.1 „საწარმოს“ და ერთიანი ეკონომიკური ერთეულის ცნება

CJEU-მ განმარტა, რომ TFEU-ის 101-ე მუხლის მიზნებისთვის „საწარმო“ (undertaking) არ ნიშნავს აუცილებლად ცალკე იურიდიულ პირს. კონკურენციის სამართალში გადამწყვეტია ეკონომიკური ერთიანობა და არა კომპანიების ფორმალური იურიდიული დამოუკიდებლობა.

შესაბამისად, რამდენიმე იურიდიულად დამოუკიდებელი კომპანია შეიძლება კონკურენციის სამართლის მიზნებისთვის წარმოადგენდეს ერთსა და იმავე საწარმოს, თუ ისინი ქმნიან ერთიან ეკონომიკურ სუბიექტს.

ამ პრინციპის საფუძველზე, მშობელი და შვილობილი კომპანია გარკვეულ პირობებში შეიძლება განხილულ იქნეს როგორც ერთიანი ეკონომიკური სუბიექტი და ერთი „საწარმო“ TFEU-ის 101-ე მუხლის მიზნებისთვის.

2.2.2 მშობელი კომპანიის მიერ ჩადენილი დარღვევისთვის შვილობილი კომპანიის პასუხისმგებლობა

CJEU-მ განსაკუთრებული მნიშვნელობით განმარტა, რომ ერთიანი ეკონომიკური სუბიექტის დოქტრინა შეიძლება გამოყენებულ იქნეს არა მხოლოდ შვილობილი კომპანიის ქმედებისთვის მშობელი კომპანიის პასუხისმგებლობის დასადგენად, არამედ საპირისპირო მიმართულებითაც - მშობელი კომპანიის ქმედებისთვის შვილობილი კომპანიის პასუხისმგებლობის დასადგენად.

შესაბამისად, დაზარალებულ პირს შეუძლია ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით მიმართოს შვილობილ კომპანიას, თუ:

1. მშობელი და შვილობილი კომპანია ქმნიან ერთიან ეკონომიკურ სუბიექტს; და
2. არსებობს კონკრეტული ეკონომიკური კავშირი შვილობილი კომპანიის საქმიანობასა და იმ დარღვევას შორის, რომლისთვისაც მშობელი კომპანია იქნა პასუხისმგებლად ცნობილი.

ამასთან, მხოლოდ ერთი კორპორაციული ჯგუფის წევრობა ავტომატურად არ წარმოშობს პასუხისმგებლობას.

2.2.3 კონკრეტული ეკონომიკური კავშირის მნიშვნელობა

CJEU-მ ხაზი გაუსვა, იმას რომ ერთიანი ეკონომიკური სუბიექტი უნდა განისაზღვროს დარღვევის საგნისა და შესაბამისი ეკონომიკური საქმიანობის გათვალისწინებით. შესაბამისად, შვილობილ კომპანიას ვერ დაეკისრება პასუხისმგებლობა მშობელი კომპანიის მიერ ჩადენილ ნებისმიერ დარღვევაზე მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი ერთ ჯგუფში შედიან.

სასამართლოს განმარტებით, აუცილებელია, რომ არსებობდეს კავშირი შვილობილი კომპანიის რეალურ ეკონომიკურ საქმიანობასა და დარღვევას შორის.

მაგალითად, სასამართლოს ლოგიკით, შესაბამისი კავშირი შეიძლება არსებობდეს მაშინ, როდესაც მშობელი კომპანიის მიერ განხორციელებული კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანხმება ეხებოდა იმავე პროდუქტებს, რომლებსაც შვილობილი კომპანია ბაზარზე ყიდდა.

2.2.4. დაზარალებული პირის მიერ ზიანის ანაზღაურების უფლება

აღნიშნული საკითხის შეფასებისას CJEU-მ გადაწყვეტილება დააფუძნა TFEU-ის 101-ე მუხლის პირდაპირ ეფექტზე და განმარტა, რომ თუ კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანხმებით ან პრაქტიკით დაზარალებულ პირებს არ ექნებოდათ მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, TFEU-ის 101-ე მუხლის სრული ეფექტიანობა მნიშვნელოვნად შეიზღუდებოდა.

ამიტომ კონკურენციის სამართლის დარღვევით მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა ევროკავშირის კონკურენციის სამართლის აღსრულების მნიშვნელოვანი ნაწილია და ავსებს საჯარო აღსრულებას, რომელსაც ევროკომისია და ეროვნული კონკურენციის ორგანოები ახორციელებენ.

2.2.5. შვილობილი კომპანიის დაცვის უფლებები

CJEU-მ ასევე დაადგინა, რომ შვილობილი კომპანიის პასუხისმგებლობის შესაძლებლობა არ ნიშნავს მის ავტომატურ პასუხისმგებლობას.

შვილობილ კომპანიას უნდა ჰქონდეს ეფექტიანი დაცვის უფლება, მათ შორის შესაძლებლობა, სადავო გახადოს:

- ქმნის თუ არა იგი მშობელ კომპანიასთან ერთად ერთიან ეკონომიკურ სუბიექტს;

- არსებობს თუ არა შესაბამისი ეკონომიკური კავშირი მის საქმიანობასა და დარღვევას შორის.

თუ კომისიამ უკვე დაადგინა TFEU-ის 101-ე მუხლის დარღვევა მშობელი კომპანიის მიმართ, შვილობილ კომპანიას აღარ შეუძლია ეროვნულ სასამართლოში თავად ამ დარღვევის არსებობის უარყოფა, რადგან ეროვნული სასამართლო ვერ მიიღებს კომისიის გადაწყვეტილების საწინააღმდეგო გადაწყვეტილებას.

თუმცა მას შეუძლია სადავო გახადოს მისი კუთვნილება იმ ეკონომიკური სუბიექტისადმი, რომელსაც დარღვევა დაუდგინდა.

2.2.6. საბოლოო სამართლებრივი დასკვნა

CJEU-მ დაადგინა, რომ TFEU-ის 101(1) მუხლი უნდა განიმარტოს იმგვარად, რომ კონკურენციის საწინააღმდეგო პრაქტიკით დაზარალებულ პირს შეუძლია ზიანის ანაზღაურების სარჩელი წარადგინოს როგორც მშობელი კომპანიის, ასევე მისი შვილობილი კომპანიის წინააღმდეგ, თუ ისინი ქმნიან ერთიან ეკონომიკურ სუბიექტს და, შესაბამისად, TFEU-ის 101-ე მუხლის მიზნებისთვის წარმოადგენენ ერთსა და იმავე „საწარმოს“.

აღნიშნული საქმის მთავარი მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ „ერთიანი ეკონომიკური სუბიექტის“ დოქტრინა კერძო აღსრულების ფარგლებში პასუხისმგებლობის დაკისრების შესაძლებლობას ავრცელებს არა მხოლოდ შვილობილი კომპანიიდან მშობელ კომპანიაზე, არამედ მშობელი კომპანიიდან შვილობილ კომპანიაზეც.

გამოყენებული ინფორმაცია ეყრდნობა უწყებების/ორგანიზაციების ოფიციალურ საიტებზე არსებულ ინფორმაციებს.

15 20

info@gcca.gov.ge

www.gcca.gov.ge

GCCA • საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტო

GCCA • Georgian Competition and Consumer Agency

0102 ქ. თბილისი, აღმაშენებლის გამზირი - 154.
ბიზნეს ცენტრი "მწვანე ოფისი"